



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020149477688920

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 828/ს

24 / ივლისი / 2020 წ.

შპს „სპექტრი-7“-ზე (ს/კ 206099381) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N00449) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-3 ნაწილისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის № 1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 02 ივნისის №კ-4/24 ბრძანებისა და სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2020 წლის 08 ივლისის N1152 მოხსენებით ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

- დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შპს „სპექტრი-7“-ზე (ს/კ 206099381) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N00449) ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით;
- ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვადად განისაზღვროს ბრძანების გამოცემიდან ორი თვე;
- ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭოს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსს - შორენა იოსებიძეს;
- ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს „სპექტრი-7“-ს და განემართოს, რომ უფლება აქვს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;
- ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ღია სხდომაზე ზეპირი მოსმენა დაინიშნოს **2020 წლის 20 აგვისტოს 15:00 საათზე** სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150) და წინადადება მიეცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეს უშუალოდ ან კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობის უფლებით აღჭურვილი პირის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში დანიშნულ დროს.
- ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამბადასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე